როჯერ ზელაზნი

ავალონის თოფები

ამბერის ქრონიკები

წიგნი 2

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2011

"The Guns of Avalon" Roger Zelazny
„ავალონის თოფები" როჯერ ზელაზნი

მთარგმნელი: დავით ახალაძე
რედაქტორი: ანდრო ბუაჩიძე
დაკაბადონება: ქეთევან ღონღაძე
გარეკანი: თამარ მეტრეველი, თამარ ბასილია

copyright © 1972 by Roger Zelazny, renewed 2000 by Amber Ltd. Co

Published by agreement with the author and the author's agents,
Ralph M. Vicinanza, Ltd.

საავტორო უფლება თარგმანზე
© 2011 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-18-025-5

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

თავი პირველი

ნაპირზე ფეხი დავდგი და ნავს ვუთხარი:

— მშვიდობით, „პეპელავ“!

ნავი ნელა შეტრიალდა და გაცურა. ვიცოდი, არ გაუჭირდებოდა კაბრის ყურეში დაბრუნება, რადგან შუქურა ამ ანარეკლის სიახლოვეს მდებარეობდა.

მივბრუნდი და ხეთა ბნელ რიგს შევავლე თვალი. კიდევ დიდი მანძილი მქონდა გასავლელი. მივდიოდი და სამყაროს გზადაგზა ვუცვლიდი იერსახეს. ტყეში გარიჟრაჟის საამო სუსხი იდგა.

უწინდელთან შედარებით ჯერ კიდევ ორმოცდაათი გირვანქით ნაკლებს ვიწონიდი. თვალში კვლავაც მიორდებოდა, მაგრამ თანდათანობით მიბრუნდებოდა ძველებური ძალ-ღონე. გიჟი დვორკინი ამბერის დილეგიდან გაქცევაში დამეხმარა, ლოთმა ჯოპინმა ფეხზე დამაყენა და ახლა აღარარსებული ანარეკლის აჩრდილს დავეძებდი. საჭირო ბილიკი ვიპოვე და გზას დავადექი.

ცოტა ხნის შემდეგ ერთ მაღალ ხესთან შევჩერდი. ხელი ფუღუროში შევყავი, იქიდან ჩემი ვერცხლის მახვილი გამოვაძვრინე და წელზე შევიბი. მერე რა, რომ იარაღი ამბერში დავტოვე, ჩემი ხმალი ახლა აქ იყო, რადგან ეს ტყე ანარეკლში მდებარეობდა.

სვლა განვაგრძე. ხელმარცხნივ ღრუბლებში მზე მიმალულიყო. რამდენიმე საათი ვიარე, ცოტა შევისვენე და ისევ გზას დავადექი. სიხარულით ვუცქერდი ჩამოცვენილ ფოთლებს, ქვებს, კუნძებს, ახლადშეფოთლილ ხეებს, ბალახსა და მიწას. სულგანაბული ვტკბებოდი სიცოცხ-

ლის სურნელითა და ტყის მრავალხმოვანებით. ღმერთო, როგორ მეძვირფასებოდა ჩემი თვალები! შეუძლებელია იმ გრძნობების გადმოცემა, რომელიც სრულ წყვდიადში გატარებული ოთხი წლის შემდეგ მომძალებოდა.

გზას მივიკვლევდი და ქარი დაფლეთილ მოსასხამს მიფრიალებდა. გაძვალტყავებული და სახეჩამომჭკნარი ბერიკაცს ვგავდი. ასეთს ვინ მიცნობდა?

მივდიოდი და ანარეკლს ანარეკლზე ვცვლიდი, მაგრამ სასურველ ადგილამდე მაინც ვერ მივაღწიე. აი, რა შემემთხვა...

* * *

გზის პირას ექვსი აკუწული გვამი დავინახე. მათ შორიახლოს, უზარმაზარ ხავსიან ბერმუხაზე ზურგით მიყრდნობილი, დაჭრილი კაცი იჯდა და გადატყაული თითებით მუხლებზე დადებულ მახვილს ჩასჭიდებოდა. მოკლულისგან განსხვავებით, ჯავშანი არ ეცვა და მკერდის მარჯვენა მხარეს განიერი ჭრილობა მოუჩანდა. მძიმედ სუნთქავდა და ნაცრისფერი, გაშეშებული თვალებით უცქერდა, როგორ კორტნიდნენ შავი ყორნები ცხედრებს. მგონი, ვერ შემამჩნია.

ოდესღაც ვიცნობდი ამ კაცს — ან, შესაძლოა, მის ორეულს — მაგრამ მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. კაპიუშონი თვალებზე ჩამოვიფხატე, რომ სახე დამემალა და მისკენ გავეშურე. როცა მივუახლოვდი, ხმალი მომიღერა.

— დამშვიდდით, სამტროდ არ მოვსულვარ, — ვუთხარი მე, — წყალი ხომ არ გინდათ?

ერთ წამს მერყეობდა, მერე თავი დამიქნია, მინდაო.

მათარას თავი მოვხადე და გავუწოდე. მოსვა, დაახველა და ისევ მოიყუდა.

— მადლობელი ვარ, სერ, — მითხრა და მათარა დამიბრუნა, — ცოტა უფრო მაგარი სასმელიც ხომ არ გაქვთ? ეშმაკმა დალახვროს ეს წყეული ჭრილობა!

— მაქვს, მაგრამ ხომ არ გაწყენთ?

პასუხის ნაცვლად ხელი გამომიშვირა და მეც ჯოპინის არყით სავსე მათარა გავუწოდე. პირველივე ყლუპის შემდეგ ოციოდ წამს ახველა, მერე კი გამიღიმა და თვალი ჩამიკრა.

— აი, ეს სულ სხვა საქმეა, — მითხრა სახეგაბადრულმა, — შეიძლება ცოტა ჭრილობაზეც დავისხა? რა თქმა უნდა, აფსუსია ასეთი სასმლის დაღვრა, მაგრამ...

— დაისხით, თუკი გიშველით. მაგრამ ხელები გიკანკალებთ და თუ გნებავთ, დაგეხმარებით.

თანხმობის ნიშნად თავი დამიკრა. ტყავის კამზოლი გავუხსენი და პერანგი ხანჯლით გავუჭერი. ჭრილობა ღრმა იყო, მუცელს ბარძაყიდან ნეკნამდე სერავდა. შედარებით უმნიშვნელო იარები ხელებზე, მკერდსა და მხრებზეც ჰქონდა. მუცლის ჭრილობიდან სისხლი ხელსახოცით მოვწმინდე და ვუთხარი:

— დავიწყოთ, კბილი კბილს მაგრად დააჭირეთ და თავი მიატრიალეთ.

არყის დასხმისთანავე მთელი სხეული მოეკრუნჩხა და აუცახცადა, მაგრამ არ დაუყვირია. ვიცოდი, რომ კრინტს არ დაძრავდა. ხელსახოცი დავკეცე, იარაზე დავადე და ჩემი ლაბადიდან მოხეული ნაჭრით შევუხვიე.

— კიდევ ხომ არ დალევთ? — ვკითხე, როცა სული მოითქვა.

— წყალი მომაწოდეთ. მერე კი ცოტა ხანს უნდა დავიძინო.

რამდენიმე ყლუპი მოსვა, თავი ჩაქინდრა და დაეძინა. სახელდახელოდ ბალიში გავუკეთე, თავქვეშ ამოვუდე და დახოცილების ლაბადები მივაფარე. მერე გვერდით დავუჯექი და ჩიტებს დავუწყე ყურება.

გასაკვირი არ იყო, რომ ვერ მიცნო. ჩემი ვინაობა რომ გამემხილა, ალბათ გამიხსენებდა კიდეც, რადგან ერთ დროს კარგად ვიცნობდით ერთმანეთს. თუმცა ამ ანარეკლში ერთიმეორეს არასოდეს შევხვედროდით.

შორეულ მხარეში ოდესღაც კარგად ნაცნობი ანარეკლის საძებნელად გავეშურე. მართალია, ის დიდი ხნის განადგურებული იყო, მაგრამ კვლავაც შემეძლო მისი აღდგენა, რადგან ამბერს ურიცხვი ანარეკლი აქვს და მათი მართვა სამეფო გვარის ნებისმიერ წარმომადგენელს ხელეწიფება. შეგიძლიათ მათ პარალელური, ან ალტერნატიული სამყაროები, ანდა სულაც გიჟის ბოდვა უწოდოთ. პირადად მე და ყველა ჩემი დედმამიშვილი ამ სამყაროებს ანარეკლებს ვეძახით. მოკლედ, ნებისმიერ ჩვენგანს თავისთვის საჭირო ალბათობის შერჩევა და საკუთარი ქვეყნიერების შექმნა შეუძლია.

ჯერ ნავით, შემდეგ კი ფეხით გავეშურე ავალონისკენ.

იქ მრავალი საუკუნის წინ ვცხოვრობდი. ეს გრძელი, ჩახლართული, გასაოცარი და სევდიანი ისტორიაა და ოდესმე შეიძლება, გიამბოთ კიდეც, თუკი ცოცხალი გადავრჩი და ამ ამბის ბოლომდე მოყოლა დამცალდა.

ავალონთან საკმაოდ ახლოს ვიყავი, როცა გზისპირას დაჭრილი რაინდი და ექვსი ცხედარი დავინახე. რა თქმა უნდა, შემეძლო გვერდით ჩამევლო და სხვა სამყაროში ექვსი ყაჩაღის მძლეველ საღ-სალამათ რაინდს, ანდა პირიქით, მკვდარ რაინდსა და ექვს ცოცხალ ყაჩაღს გადავყროდი. თუმცა ზოგი იტყვის, რომ ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ სხვადასხვა ანარეკლში არსებული ალბათობებია.

ჩემს ადგილას ჩვენი ოჯახის ნებისმიერი წევრი — ალბათ ჯერარდისა და ბენედიქტის გამოკლებით — წამითაც არ შეჩერდებოდა და არხეინად ჩაივლიდა. მე კი ბოლო დროს რაღაც გულჩვილობა დამჩემდა. ადრე ასეთი არ ვყოფილვარ, მაგრამ დედამიწაზე ცხოვრებამ ხასიათი შემირბილა. ან, ვინ იცის, შეიძლება, ამბერის დილეგში ჯდომამ მასწავლა განსაცდელში მყოფთა სიბრალული. არ ვიცი, მაგრამ ცხადია, რომ გასაჭირში ვერ მივატოვე ადამიანი, რომლის ორეულიც ოდესღაც ჩემი მეგობარი იყო. თუმცა მისთვის ჩემი სახელი რომ მეთქვა, პასუხად წყევლა-კრულვა დამატყდებოდა თავს.

რას იზამ, ვალი უნდა გადამეხადა: რითაც შემეძლო უნდა დავხმარებოდი და მერე ჩემს გზას დავდგომოდი. ყოველ შემთხვევაში, არაფერს ვავნებდი და ერთ კეთილ საქმესაც გავაკეთებდი.

ამ ფიქრებით გართული ვიჯექი და ვუცქერდი მძინარე მეომარს. რამდენიმე საათის შემდეგ მან თვალი გაახილა.

— გამარჯობა, — ვუთხარი და მათარას თავი მოვხსენი, — გწყურიათ?

— გმადლობთ, — ჭურჭელი გამომართვა, წყალი მოსვა და შვებით ამოისუნთქა, — ცუდი მანერებისთვის ბოდიშს გიხდით: არც კი წარგიდექით...

— ვიცი, ვინც ხართ. მე კი კორი მქვია.

აშკარად უნდოდა, სრული სახელი გამოეკითხა, მაგრამ თავი შეიკავა.

— მოხარული ვარ, სერ კორი, — მომმართა როგორც თანასწორს, — დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ...

— სამადლობელი არაფერია, — მივუგე, — რაც მთავარია, თავს უკეთ გრძნობთ. ხომ არ წაიხემსებდით?

— სიამოვნებით.

— შემიძლია ცოტა გამოყვანილი ხორცი, ყველის მოზრდილი ნაჭერი და ხმელი პური შემოგთავაზოთ. ინებეთ.

ბევრი ხვეწნა არ დასჭირვებია — ჭამას შეუდგა.

— თქვენ არ მიირთმევთ, სერ კორი?

— როცა გეძინათ, მაშინ გეახელით, — თვალი ირგვლივ მიმოყრილ გვამებს მოვავლე, — ნუთუ მარტო გაუმკლავდით?

გაეღიმა და თავი დამიქნია.

— შესანიშნავია! — შევუქე ნამოქმედარი, — ახლა რა გიყოთ?

შეეცადა თვალებში ჩაეხედა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

— არ მესმის, რას გულისხმობთ.

— საით გაგიწევიათ?

— ჩემი მეგობრები ჩრდილოეთით, ხუთი ლიგის მოშორებით ცხოვრობენ. იქ მივდიოდი, როცა ეს ამბავი შემემთხვა. ვეჭვობ, ვინმეს იმდენი ძალა ჰქონდეს, რომ ზურგზე

ამიკიდოს და ხუთი ლიგა მათრიოს. ამას თვით ეშმაკიც ვერ შეძლებდა! წელში გამართვა რომ შემეძლოს, მიხვდებოდით, რასაც ვგულისხმობ, სერ კორი.

უსიტყვოდ ავდექი, მახვილი ვიშიშვლე და თითოთითო დარტყმით ორი მკლავისსისქე ხე მოვცელე. მერე ორივე გავსხიპე, დახოცილი ყაჩაღების ქამრები და მოსასხამებიც მოვიშველიე და საკაცის მსგავსი რამ შევაკოწიწე.

დაჭრილი რაინდი ჩუმად მიყურებდა.

— თქვენი მახვილის დარტყმა უთუოდ სასიკვდილო იქნება, — თქვა მან, როცა მუშაობა დავამთავრე, — თანაც თუ არ ვცდები, მაგ ხმლის პირი ვერცხლისა უნდა იყოს.

— მგზავრობას თუ შეძლებთ? — ვკითხე მე.

ხუთი ლიგა დაახლოებით თხუთმეტი მილია.

— მკვდრებს რა ვუყოთ?

— ქრისტიანულად ხომ არ გინდათ მათი დაკრძალვა? ეშმაკსაც წაუღია ეს ავაზაკები! ბუნება თავად მიხედავს მათ ლეშებს. უნდა წავიდეთ, გვამები უკვე ყარს.

— რაიმე მაინც მივაფაროთ. კარგად იბრძოდნენ და პატივისცემას იმსახურებენ.

ამოვიოხრე:

— კარგი, ასე იყოს, თუკი უამისოდ მშვიდად ვერ დაიძინებთ. ნიჩაბი არ მაქვს და ქვები უნდა მივაყარო. საერთო სამარხს გავუკეთებ.

— რა თქმა უნდა.

ექვსი ცხედარი გვერდი-გვერდ დავაწვინე და ლოდების შემოწყობას შევუდექი. დაჭრილმა რაინდმა თავისთვის ბუტბუტი დაიწყო — მგონი, ლოცულობდა.

ირგვლივ უამრავი ქვა ეყარა. ყველაზე მოზრდილებს ვარჩევდი და სწრაფად ვმუშაობდი. სწორედ ამაში შევცდი. ერთ-ერთი ლოდის წონა ოთხას გირვანქამდე იქნებოდა. მე კი, ნაცვლად იმისა, რომ გადამეგორებინა, ავწიე და ისე წავიღე. რაინდმა გაოცებისგან შეჰყვირა.

— ჯანდაბა, კინაღამ წელი მოვიწყვიტე, — ვცადე შეცდომის გამოსწორება.

ავდექი და უფრო პატარა ქვების შერჩევა დავიწყე.

— საკმარისია, — ვუთხარი, როცა საქმე დავამთავრე, — მზად ხართ?

— კი.

ხელში ავიყვანე და საკაცეზე დავაწვინე. ტკივილისგან კბილები გააღრჭიალა.

— საით? — ვკითხე მე.

— იქით, — მომიგო და ხელი გაიშვირა, — მარცხნივ წადით და გზა რომ გაიყრება, მარჯვნივ გადაუხვიეთ. კი მაგრამ, როგორ...

პასუხის ნაცვლად საკაცე ავწიე, ზედ დაწვენილი რაინდი ახალშობილივით მკერდზე მივიხუტე და გზას გავუდექი.

— კორი, — მითხრა რაინდმა.

— ბატონო?!

— თქვენნაირი ძალ-ღონის პატრონი ჯერ არ მინახავს. რატომღაც მგონია, რომ უნდა გიცნობდეთ.

ერთხანს ჩუმად ვიარეთ, მერე მივუგე:

— თავს ვუფრთხილდები, სუფთა ჰაერზე ვცხოვრობ, ვშრომობ, ვვარჯიშობ...